სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

22 ნოემბერი 2023 წ.

ბრძანება N 01-10/133

აბიტურიენტთა მომზადების მოკლევადიანი მიზნობრივი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-34-ე მუხლების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე" **ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 05 ოქტომბრის №02 გადაწყვეტილების,** ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების კოორდინატორების დანიშვნისა და საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 11 ოქტომბრის №01-02/171 ბრძანების,** ,,ბსუ-ს მიერ საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანასთან დაკავშირებით მესამე მისიით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" **ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 29 დეკემბრის N07-01/62 გადაწყვეტილების,** ,,ბსუ-ს მესამე მისიის აქტივობისათვის (მაღალმთიანი რეგიონის აბიტურიენტების ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი პროგრამების განხორციელებისათვის) 2023-2024 სასწავლო წელს გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" **ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის N07-01/60 გადაწყვეტილების,** ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს სხდომის ოქმის საფუძველზე (ოქმი №20-19/01; 10.01.2023 და ოქმი №20-19/02; 26.01.2023), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კორესპონდენციების (MES 5 23 0001545389, 14/11/2023; MES 1 23 0001554844, 15/11/2023) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის **სამინისტროსა** და **ბსუ-ს შორის 2023 წლის 26 იანვარს გაფომებული N04-07/18 ხელშეკრულების** (ცვლილება 17.11.2023 წლის №04-07/287 შეთანხმება, 3.1.2 - უნივერსიტეტის ვალდებულებები), „აბიტურიენტთა მომზადების მოკლევადიანი მიზნობრივი საგანმანათლებლო პროგრამების ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ინგლისურ ენასა და მათემატიკაში დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 27 იანვრის №01-02/12 ბრძანების** (ცვლილება 21.11.2023 წლის №01-02/216 ბრძანება), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მოსამზადებელი მიმართულების კოორდინატორის, ასოცირებულ პროფესორ ქეთევან შოთაძის 2023 წლის 21 ნოემბრის სამსახურებრივი ბარათის (№1586030) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მოსამზადებელი მიმართულების აბიტურიენტთა მომზადების მოკლევადიანი

მიზნობრივი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შრომის ანაზღაურება განისაზღვროს:

ა) აბიტურიენტთა ჯგუფური მეცადინეობის (ჯგუფში არაუმეტეს 15) შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტებში ჩატარებისათვის - შრომის 1 (ერთი)ს საათის ღირებულება 50 ლარით;

ბ) პროგრამის განხორციელების ადმინისტრირებისათვის განსაზღვრული ბსუ-ს დამხმარე პერსონალისათვის (ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით მოსამზადებელი მიმართულების კოორდინატორი) - შრომის 1 (ერთი)ს საათის ღირებულება - 25 ლარით.

2. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მოსამზადებელი მიმართულების აბიტურიენტთა მომზადების მოკლევადიანი მიზნობრივი საგანმანათლებლო **პროგრამების ხარჯთაღრიცხვა დამტკიცდეს წინამდებარე ბრძანების N1** დანართის შესაბამისად.

3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ–ს რექტორს, რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძეს), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს წევრებს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **მ. დიასამიძე**

„აბიტურიენტთა მომზადების მოკლევადიანი მიზნობრივი საგანმანათლებლო პროგრამების
განმახორციელებელი პერსონალის შრომის ანაზღაურების
ოდენობისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ“
ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 22 ნოემბერი №01-10/133 ბრძანების
დანართი 1

	აბიტურიენტთა მოსამზადებელი მიზნობრივი პროგრამის (2023 წლის ნოემბერი-დეკემბერი) **ხარჯთაღრიცხვა**	
1.	ბსუ-ს დაფინანსება	**15125 ლარი**
2.	**ხარჯები**	
2.1	შესრულებული სამუშაო საათების რაოდენობა	325 საათი
2.2	**პერსონალის შრომის ანაზღაურება, მათ შორის:**	**15125 ლარი**
2.2.1	პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი პერსონალი	14000 ლარი
2.2.2	დამხმარე პერსონალი (ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით მოსამზადებელი მიმართულების კოორდინატორი)	1125 ლარი
3.	სულ ხარჯი	15125ლარი

	პროგრამის განმახორციელებელი და დამხმარე პერსონალი	**საკონტაქტო საათი 1 ჯგუფზე**	**სულ საკონტაქტო საათი**	**1 სთ-ის ანაზღაურება (ლარი)**	**საერთო შრომის ანაზღაურება (ლარი)**
1	პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი პერსონალი:		280 სთ	50	14 000 ლარი
1.1	ქართული ენა - **5 ჯგუფი**	20 სთ	100 სთ	50	5000
1.2	ინგლისური ენა - **5 ჯგუფი**	20 სთ	100 სთ	50	5000
1.3	მათემატიკა - **4 ჯგუფი**	20 სთ	80 სთ	50	4000
	პროგრამის დამხმარე პერსონალი				
2.	დამხმარე პერსონალი (ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმა-რთულებით მოსამზადებელი მიმართულების კოორდი-ნატორი)	45 სთ		25	1125 ლარი
				სულ	**15125 ლარი**

საფუძვლები:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და ბსუ-ს შორის 2023 წლის 26 იანვრის N04-07/18 ხელშეკრულება. (2023 წლის 17 ნოემბრის №04-07/287 შეთანხმება (ცვლილება N 04-07/18, 16.01.2023წ. ხელშეკრულებაში);
2. ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 27 იანვრის №01-02/12 ბრძანებით დამტკიცებული აბიტურიენტთა მომზადების მოკლევადიანი მიზნობრივი საგანმანათლებლო პროგრამები: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (100 სთ), ინგლისურ ენაში (100 სთ), და მათემატიკაში (80 სთ).
3. ,,ბსუ-ს მესამე მისიის აქტივობისათვის (მაღალმთიანი რეგიონის აბიტურიენტების ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი პროგრამების განხორციელებისათვის) 2023-2024 სასწავლო წელს გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 11 ნოემბრის N07-01/60 გადაწყვეტილება;
4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კორესპონდენციები (№130820 06.02.2023; №1545389 14/11/2023; №1554844 15/11/2023).

სულ მსმენელთა რაოდენობა - 81;

ჯგუფების რაოდენობა - ქართულ ენასა და ლიტერატურაში - 5 ჯგ;
ინგლისურ ენაში -5 ჯგ;
მათემატიკაში - 4 ჯგ.